საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

ბრძანება

N 1512-03
13/09/2023

ქ. თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის N 1083-03 27/07/2023 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის No134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება დეკანის N 1083-03 27/07/2023 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების მე-6 მუხლი ნაცვლად:
„ხელშეკრულებების გაფორმება მაგისტრანტობის იმ კანდიდატებთან, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ერთიანი სამაგისტრო და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები და რეიტინგული სიის მიხედვით მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება, განხორციელდეს 2023 წლის 16 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე (მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. N32):

ა) ძირითადი სიის წარმომადგენლებთან ხელშეკრულების გაფორმება იწარმოებს 16 და 18 სექტემბერს.

ბ) სათადარიგო სიის წარმომადგენლებთან ხელშეკრულების გაფორმება იწარმოებს 20 და 21 სექტემბერს."

ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„ხელშეკრულებების გაფორმება მაგისტრანტობის იმ კანდიდატებთან, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ერთიანი სამაგისტრო და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები და რეიტინგული სიის მიხედვით მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება, განხორციელდეს 2023 წლის 13 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე A 101 აუდიტორიაში (მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. N32):

ა) ძირითადი სიის წარმომადგენლებთან ხელშეკრულების გაფორმება იწარმოებს 13, 14, 15, 16 და 18 სექტემბერს.

ბ) სათადარიგო სიის წარმომადგენლებთან ხელშეკრულების გაფორმება იწარმოებს 20 და 21 სექტემბერს."

2. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს.

ნინო მატარაძე

დეკანი